სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის (პირველი კატეგორია) და მთავარი სპეციალისტის (მეორე კატეგორია) შტატგარეშე პოზიციებზე შერჩევის მიზნით კომისიის შექმნა

1. **ნინო ოკრიბელაშვილი** - თსუ რექტორის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;
2. **თეა გერგედავა** - თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;
3. **ირმა გრძელიძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
4. **ქეთევან ხუციშვილი** - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი - კომისიის წევრი;
5. **ეკატერინე ფირცხლავა** - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის წევრი;
6. **ნინო მარუაშვილი** - პერსონალის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (პირველი კატეგორია) - კომისიის მდივანი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის (პირველი კატეგორია) და მთავარი სპეციალისტის (მეორე კატეგორია) შტატგარეშე პოზიციებზე შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის (პირველი კატეგორია) და მთავარი სპეციალისტის (მეორე კატეგორია) შერჩევა.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

ა) საკონკურსო წესით სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის (პირველი კატეგორია) და მთავარი სპეციალისტის (მეორე კატეგორია) შტატგარეშე პოზიციებზე კანდიდატების შერჩევა.

ბ) კომისია უფლებამოსილია სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას, საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად მოიწვიოს შესაბამისი დარგის ექსპერტი/ექსპერტები.

გ) კომისიის მიერ წერითი დავალების შეფასების განსაზღვრა.

დ) კომისიის მიერ კანდიდატის პიროვნული თვისებებისა და უნარების შეფასება ზეპირი გასაუბრებით.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი

1. კომისია დაუსწრებლად განიხილავს კონკურსანტის მონაცემთა შესაბამისობას საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის (პირველი კატეგორია) და მთავარი სპეციალისტის (მეორე კატეგორია) თანამდებობრივ მოთხოვნებთან. აპლიკანტები, რომლებიც გადალახავენ პირველ და მეორე ეტაპს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, გაივლიან ზეპირ გასაუბრებას შესარჩევ კომისიასთან.
2. კომისიის მიერ შეფასდეს კანდიდატის წერითი დავალება 0-დან 50-მდე ქულით.
3. კომისიის მიერ შეფასდეს კანდიდატის პიროვნული თვისებები და უნარები ზეპირი გასაუბრებით 0-დან 50-მდე ქულით.
4. აპლიკანტის მიერ წერით ეტაპზე და გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.
5. საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ, საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს ურთიერთშეაჯერებს, აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას

გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას, რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში.

6. შესარჩევი ეტაპების გავლის შემდგომ, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის (პირველი კატეგორია) და მთავარი სპეციალისტის (მეორე კატეგორია) პოზიციაზე შერჩეულად ითვლება ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ქულას.
7. თანაბარი ქულების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.
8. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატებთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კანდიდატის მიერ ზეპირი გასაუბრების შეფასების ფურცელი

საკონკურსო კომისიის წევრი: _____

ხელმოწერა:_____

კანდიდატის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	პოზიცია	ზოგადი უნარ-ჩვევების (დაგეგმვა, ორგანიზება, გუნდურობა, სტრესულ გარემოში მუშაობა, ოპერატიულობა, პუნქტუალობა და დროის ეფექტიანი მართვა - შეფასება (0-დან 15 ქულამდე)	ანალიტიკური აზროვნებისა და დასაბუთების უნარი, სისხარტე, კომპლექსური და ლოგიკური აზროვნების უნარი (0-დან 10 ქულამდე)	მოტივაცია, კომუნიკაბელურობა, კრეატიულობა და შემოქმედებითი უნარი (0-დან 10 ქულამდე)	ცვლილებების ადეკვატურად აღქმის და სიახლეების სწრაფად ათვისების უნარი; ერთდროულად სხვადასხვა ამოცანებზე დამოუკიდებლად და ეფექტურად მუშაობის უნარი (0-დან 10 ქულამდე)	წინა პროფესიული გამოცდილების რელევანტურობა ვაკანსიასთან (0-5 ქულა)	შენიშვნა